

2012 წელს, ორგანიზაცია „კროს-კულტურული უნივერსუმის“, ქართველ კომპარატივისტთა ლიტერატურული ასოციაციის, აგრეთვე, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინტელექტუალური ძალებისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მოეწყო **თარგმანის პირველი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა საქართველოში ([www.gcla.org.ge](http://www.gcla.org.ge))**.

სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მხატვრული და სამეცნიერო თარგმანის საერთაშორისო სტანდარტების, როგორც თეორიულის, ისე – პრაქტიკულის, გაცნობა დამწყები მთარგმნელებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

დღეს, კულტურული ურთიერთგაცვლების მაღალი აქტივობის ეპოქაში აუცილებელია ქართული ლიტერატურის გამოყვანა იზოლაციიდან და მისი შეთავაზება საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოებისათვის. ამ პროცესის მთავარ ბერკეტად კი მთარგმნელობითი



წრეების მოზიდვა და დაინტერესება გვესახება: თარგმანის მეშვეობით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბება უცილობლად შეუწყობს ხელს კულტურათაშორის დიალოგს, რაც ქართული ლიტერატურის ევროპულ კონტექსტში ჩაბრუნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ლიტერატურის ინსტიტუტს უკვე რამდენიმე წელია ჰყავს პოტენციური პარტნიორები ამ სფეროში - უცხოელი მკვლევარები და მთარგმნელები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული ტექსტების თარგმანით და ბილინგვური გამოცემებით. ამის პრაქტიკული დადასტურებაა „კროს-კულტურული უნივერსუმისა“ და ქართველ კომპარატივისტთა ლიტერატურული ასოციაციის მეცადინეობით განხორციელებული რამდენიმე პროექტი: „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობა“ (სლოვენია, გამომცემლობა GOGA, „14 ქართული კლასიკური ტექსტი“ (აშშ, გამომცემლობა – World People’s Catering), „ო. ჭილაძე. გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ (აშშ, გამოცემა 2013 წელს). გარდა ამისა, არაერთი სხვა მთარგმნელობითი პროექტი განხორციელებული კერძო თუ ორგანიზაციული ინიციატივით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

თარგმანის საზაფხულო სკოლის ამოცანა იყო ქართული ლიტერატურული ტექსტების თარგმანის გეოგრაფიის გაფართოება, საქართველოში მთარგმნელობითი მოღვაწეობის ხელშეწყობა ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის შემდგომი პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

სკოლის ორგანიზატორთა მეცადინეობით, საერთაშორისო მთარგმნელობით წრეებთან წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად, დაიგეგმა და შეთანხმდა სკოლის სამუშაო პროგრამა. გამოყოფილი იქნა სამი მიმართულება: ა) მხატვრული თარგმანი; ბ) სამეცნიერო თარგმანი; გ) თარგმანი შუალედური ენის მეშვეობით. შუალედური ენების გამოყენება ქართული ლიტერატურული ტექსტებისა და კვლევების პოპულარიზაციის მიზნით საშური საქმეა, მოწოდებული ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაციის საკეთილდღეოდ: თარგმანის ამ

მეთოდს აქტიურად იყენებენ პატარა ქვეყნები, აგრეთვე, ქვეყნები, რომელთა ენის შესწავლა, სირთულის გამო, წლებს საჭიროებს (იაპონია, ჩინეთი).

სკოლის მუშაობაში მონაწილეობის მსურველთათვის ინტერნეტში განთავსდა ინფორმაცია. შემოსული 242 განაცხადიდან, პირველ ეტაპზე, შეირჩა სამოცდაათი.



აქედან მხოლოდ ოცმა პრეტენდენტმა გაიარა მეორადი გადარჩევის პროცესი და, შესრულებული თარგმანის მიხედვით, მიღებულ იქნა თარგმანის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მსმენელად, შესაბამის ენობრივ ჯგუფში.

შეიქმნა ჯგუფები ოთხი ენობრივი მიმართლებით: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ჩატარდა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე, აგრეთვე, შუალედური ენებიდან (რუსული, ინგლისური) ქართული ტექსტების თარგმანისთვის გამიზნული ლექციები, ვორქშოპები და მასტერ-კლასები.

სხვადასხვა ენობრივ სექციებს უძღვებოდნენ მოწვეული უცხოელი სპეციალისტები:

- **ლინ (კაროლინ) კოფინი** – ცნობილი ამერიკელი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი (მათ შორის, ქართველ ავტორთა) და გამომცემელი.
- **მერი ჩილდსი** (სტუმრის სტატუსით)– ამერიკელი მთარგმნელი.

- **იულია გლაზოვი** – მთარგმნელი, ჰამბურგის გამომცემლობა ბურსკე–ს ლექტორ–რედაქტორი.
- **ქრისტიანე ლიხტენფელდი** (სტუმრის სტატუსით)– გერმანულ ენაზე ილია ჭავჭავაძის, გამსახურდიას, ოთარ ჩხეიძის, რევაზ ინანიშვილის , გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა ტექსტების მთარგმნელი;
- **იორდან ლუცკანოვი** – სოფიის ბულგარული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, შუალედური ენის მეშვეობით თარგმანის სპეციალისტი;
- **მალინკა ველინოვა**– პარიზის სორბონის უნივერსიტეტის თანამშრომელი.

პრაქტიკული მუშაობის პროცესში უცხოელ კოლეგებს ეხმარებოდნენ დარგის ქართველი სპეციალისტები: პროფესორი **ირმა რატიანი**, მწერალი და კრიტიკოსი **ზაზა აბზიანიძე**, ლიტერატურათმცოდნე **გაგა ლომიძე**, პროფესორი მაკა ელბაქიძე, მთარგმნელები: **შორენა შამანაძე**, **ირინა მოდებაძე**, **ნინო გაგოშაშვილი**, **რუსუდან თურნავა**, პოეტი და მთარგმნელი **დავით ბარბაქაძე**.

თითოეულ ჯგუფში შიერჩა სათარგმნი მასალა: როგორც მხატვრული ტექსტები, ასევე, ქართველ მკვლევართა სამეცნიერო ლიტერატურათმცოდნეობითი ტექსტები. მათ შორის: **ერლომ ახვლედიანის**, **დათო ტურაშვილის**, **ნესტან (ნენე) კვინიკაძის**, **ზურაბ ლეჟავას**, **ირაკლი სამსონაძის**, **ზაზა ბურჭულაძის**, **ლაშა ბუღაძის**, **დათო გაბუნias**, **ზვიად რატიანის**, **მაია სარიშვილის**, **დათო ბარბაქაძის** ტექსტები.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტების ლექციები და მასტერკლასები, აგრეთვე, ქართველ სპეციალისტთა ლექციები. მოეწყო საქმიანი პრეზენტაციები, შეხვედრა–დიალოგები ქართველ მთარგმნელებთან და მწერლებთან, დათო ტურაშვილთან და ზურაბ ლეჟავასთან.

ვფიქრობთ, პროექტმა შეძლო თვისი ძირითადი შედეგების მიღწევა. კერძოდ:

- შესაძლებელი გახდა ქართული ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი რეალობის გაცნობა ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვის;
- შესაძლებელი გახდა ცნობილი თანამედროვე უცხოელი მთარგმნელებისა და სპეციალისტების დაინტერესება ქართული ლიტერატურული ტექსტების თარგმნით, შორს მიმავალი საგამომცემლო პერსპექტივებით.

- შესაძლებელი გახდა საქართველოში ამჟამად არსებული მთარგმნელობით პრაქტიკის ობიექტური შეფასება და რეალური ორიენტირების დასახვა.
- შედგა ინტენსიური თანამშრომლობა დარგის გამოცდილ და ახალბედა სპეციალისტებს შორის: მსმენელები, უშუალო დიალოგის პროცესში, ეცნობოდნენ თარგმანის თეორიის საერთაშორისო მიღწევებს და ითვისებდნენ აუცილებელ უნარ-ჩვევებს.
- ათი დღის განმავლობაში ითარგმნა ფრაგმენტები მთელი რიგი ქართული ლიტერატურული და სამეცნიერო ტექსტებისა, რის საფუძველზეც

**უახლოეს ხანებში გამოიცემა ბუკლეტი (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით), რომელშიც შევა სკოლის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე შესრულებული საუკეთესო თარგმანები.**

მსმენელთა შერჩევის ორსაფეხურიანი, საკმაოდ მკაცრი და ძალზე ობიექტური მეთოდი, აგრეთვე – თარგმანის საერთაშორისო სკოლის ათდღიანი ნაყოფიერი მუშაობა, საშუალებას აძლევს პროექტის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს, სრული პასუხისმგებლობით განაცხადონ, რომ მათ მიერ გაცემული სერტიფიკატები მაღალი ხარისხის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტია.



სკოლა საზეიმოდ დაიხურა 12 სექტემბერს. სკოლის წარმატებულ მსმენელებს სერტიფიკატები გადასცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა. დახურვაზევე ქალბატონ ლინ კოფინის პიესის – „ბაჭიები“ – იმპროვიზებული წარმოდგენით ქართულ და ინგლისურ ენებზე. პიესა დაიწერა საზაფხულო სკოლის მუშაობის დღეებში, ნესტან (ნენე) კვინიკაძის პიესის – „განცხადებები ბაჭიების შესახებ“ პასუხად.

სკოლის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მომავალ წელს ისევ განახორციელებენ პროექტს და მეტ მასშტაბსაც შესძენენ.